საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)
ისტორიის მიმართულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერის უფლებით

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
„საქართველოს ისტორია“

გიორგი ქავთარაძე

დასავლური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში
(პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების მოდელი)
XIX საუკუნის 60-იანი წლები – XX საუკუნის დამდეგი

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

სადისერტაციო მაცნე

თბილისი
2013 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) ისტორიის მიმართულებაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ვახტანგ გურული,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

ოფიციალური რეცენზენტები: **1. გურამ ლორთქიფანიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუსი პროფესორი.

2. დავით მალაზონია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი.

3. დიმიტრი შველიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება *2013 წლის 4 მარტს 15^{00} საათზე,* საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, **ილია ჭავჭავაძის №53ᵃ , IV სართული, სხდომათა დარბაზი.**
დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპარტიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა *2013 წლის 2 თებერვალს.*

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვახანგ გურული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება 4

თემის აქტუალობა 5

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები 6

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და
ძირითადი შედეგები 8

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური
საფუძვლები 10

ნაშრომის თეორიული ღირებულება 11

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა 12

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა 13

ნაშრომის ძირითადი შინაარსი (შესავალი, თავების
ანოტაციები, დასკვნები) 14

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული
პუბლიკაციების ნუსხა 17

FA6.050

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადისერტაციო ნაშრომი „დასავლური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების მოდელი) XIX საუკუნის 60-იანი წლები – XX საუკუნის დამდეგი“ წარმოაჩენს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ რეალობაში განვითარებულ იმ დასავლურ ღირებულებებს, რომლებმაც გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ისტორიის განვითარების პროცესებზე.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია დასავლური ღირებულებების გააზრება თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიით და შესწავლილია მათი ისტორიული განვითარება. ერთი მხრივ, ფრანგული, გერმანული, ინგლისური და ამერიკული სკოლების ისტორიის გააზრების მეთოდოლოგით და მეორე მხრივ, ქართული ჰუმანიტარული აზროვნების მიღწევებით, წარმოჩენილია ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ახლებური გააზრება. ასევე, შესწავლილია თანამედროვე დასავლური ღირებულებების ისტორიოგრაფია და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ ისტორიოგრაფია. მათი სინთეზის საფუძველზე კი წარმოჩენილია **სერგეი მესხის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის** და სხვათა შეხედულებანი დასავლურ სამყაროში დამკვიდრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წყობის მოდელებიდან გამომდინარე. ახსნილია, თუ რატომ მიიჩნევდნენ მისაბაძად დასავლურ სამყაროში წარმოშობილ და განვითარებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებს და რატომ ეწეოდნენ დასავლური ღირებულებების პოპულარიზაციას ქართულ სინამდვილეში.

თემის აქტუალობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთის იმპერიამ საქართველოს სამეფო-სამთავროები თავისი იმპერიის კოლონიებად აქცია ქართული საზოგადოება თავისუფლების, დამოუკიდებლობის იდეამ შეიპყრო, საუკუნის პირველი ნახევარი ეროვნული მოძრაობის (XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებები, 1832 წლის შეთქმულება) გაძლიერებით გამოირჩეოდა, ხოლო მეორე ნახევარში ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება (ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვ.) უფრო ორგანიზებული, მომავალი ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიური („დასავლური ღირებულებებით" აღჭურვილი) ფორმებით დაუპირისპირდა, რომელმაც რუსეთის კოლონიური იმპერიის და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამოწვევა მიიღო. ისინი ჟურნალ-გაზეთებით ქართულ „პრიზმაში" (გონებაში) გატარებულ, გააზრებულ და გათვითცნობიერებულ პროპაგანდას ეწეოდნენ დასავლური ღირებულებების დასამკვიდრებლად, რის შედეგადაც დაიწყო თანამედროვე ქართული ღირებულებების ჩამოყალიბება. დღეს, დასავლური ღირებულებები XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში იმდენად არის აქტუალური, რამდენადაც XXI საუკუნეში ქართველი ერის თვითშეგნების შეცნობა და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობის მტკიცე საფუძველი და გარანტი.

XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეების გააზრებულ დასავლურ ღირებულებებს, კონცეფციებს, რეკომენდაციებს, ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ აქტუალობა ქართველთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მეტიც, თუ კი დღეს ქართული საზოგადოება, მით უმეტეს პოლიტიკური ელიტა, მათ ახლებურად გაიაზრებს, ისინი თუ არ აღემატება, არაფრით ჩამოუვარდება დღევანდელი დასავლელი ექსპერტებისა, თუ საერთაშორისო პოლიტიკური

ორგანიზაციების რეკომენდაციებს და მითითებებს. მათ ქართული გონის პრიზმაში გაატარეს XIX საუკუნემდე და განსაკუთრებით XIX საუკუნეში წარმოშობილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემები, რის საფუძველზეც მნიშვნელოვანი თეორიები შეიმუშავეს იდეათა „ლაბორატორიაში“.

დასავლური ღირებულებების დამკვიდრება გვაინტერესებს არ იმდენად, რამდენადაც თავად დასავლური ღირებულებების ადგილი და როლი ქართულ საზოგადოებაში, არამედ როგორც ალტერნატივა აღმოსავლური ღირებულებების და როგორც „საერთო ნიადაგი“ (არჩილ ჯორჯაძე, 1905) თანამედროვე ქართული ღირებულებების ჩამოყალიბებისა... როგორც შუა საუკუნეების მეცნიერული აზროვნება „ადამის წიაღს“ უბრუნდებოდა, ისე XIX-XX საუკუნეების აზროვნება პრეისტორიას დაუბრუნდა, ხოლო თანამედროვე მეცნიერება, სწავლება (studio) უფრო XIX-XX საუკუნეებისაკენაა ორიენტირებული... თანამედროვე ინფორმაციულ, თუ კომუნიკაციურ ერაში (იუნგერ ჰაბერმანსი, 1983) ადამიანის აზროვნების და საერთოდ ცხოვრების განვითარების საფუძველი, ინფორმაციის გავრცლებისა და კომუნიკაციის საშუალებების სწრაფი განვითარებაა. ამ უკანასკნელის შედეგია „ფეისბუქის“ თაობის გაჩენა. თუ წარსულ ღირებულებათა სისტემა არ იქნება გააზრებული, მაშინ მომავალი თაობებისათვის „ისტორიის დასასრულის“ (ფრენსის ფუკუიამა, 1992) პრობლემა შეიძლება კვლავ აქტუალური გახდეს.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დასავლური ღირებულებების გამოკვლევის მიზანია ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში პოლიტიკური, სოციალური,

ეკონომიკური, ეროვნული, საეკლესიო, უნივერსალური და მსოფლიო ისტორიოგრაფიების კონტექსტში, ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, წარმოაჩინოს ქართული ისტორიის პროცესის განვითარება. სადოქტორო ნაშრომის ძირითადი მიზნებია:

1. დასავლური ღირებულებების ადგილისა და როლის გარკვევა ქართულ საზოგადოებაში;
2. დასავლური ღირებულებები, როგორც აღმოსავლური ღირებულებების ალტერნატივა;
3. თანამედროვე ქართული ღირებულებების განვითარებისათვის ასაღორძინებელი „ნიადაგი“ (არჩილ ჯორჯაძე).

სადისერტაციო ნაშრომის ამოცანაა წარმოაჩინოს ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დასავლური ღირებულებები თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიით, ხელი შეუწყოს თანამედროვე ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, წარსულში განვითარებული და ჩამოყალიბებული აზროვნების ახლებურ გააზრებას. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ამოცანებია:

1. თანამედროვე დასავლური ღირებულებების არსისა და ისტორიოგრაფიის გარკვევა;
2. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარება და მისი ისტორიოგრაფიის შესწავლა;
3. მათი სინთეზის საფუძველზე გამოიკვლიოს და გაანალიზოს დასავლურ სამყაროში განვითარებული და დამკვიდრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების მოდელების გააზრება ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და სხვათა ნაშრომებში;

4. ახსნას, თუ რატომ მიიჩნევდნენ მისაბაძად დასავლურ სამყაროში წარმოშობილ და განვითარებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებს;
5. რატომ ეწეოდნენ დასავლური ღირებულებების პოპულარიზაციას ქართულ სინამდვილეში (XIX საუკუნეში).

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

სადისერტაციო ნაშრომის სიახლე არის ის, რომ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და სხვათა) გაცნობიერებული და განვითარებული დასავლური ღირებულებების შესწავლა, სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობაში, მისი პრაქტიკული გამოყენების მიზნით, ღრმად და საფუძვლიანად ჯერ არ განხორციელებულა. არსებობს ცალკეული ნაშრომები, რომლებიც მთლიანობაში, კომპლექსურად პრობლემებს ვერ წარმოაჩენენ.

სადისერტაციო ნაშრომს გააჩნია მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება. მეცნიერული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ღრმად და საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების გამოჩენილი წარმომადგენლების (ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და სხვათა) გაცნობიერებული და განვითარებული დასავლური ღირებულებები (სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტებით). კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობს სახელმწიფო აღმშენობლობაში დასავლური ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობაში.

სადისერტაციო ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ის ეფუძნება თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიას და დასავლური ღირებულებების ისტორიულ განვითარებას. ასევე, ნაშრომი ეყრდნობა XXI საუკუნის გადასახედიდან თანამედროვე (XIX-XX სს.) დასავლური ღირებულებებისა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ არსებულ ისტორიოგრაფიულ მიღწევებს.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია დასავლური ღირებულებების გააზრება თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიით და შესწავლილია მათი ისტორიული განვითარება:

1. შესწავლილია თანამედროვე დასავლური ღირებულებების ისტორიოგრაფია;
2. წარმოდგენილია ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ არსებული ისტორიოგრაფია.
3. ზემოთ აღნიშნული პუნქტების საფუძველზე გამოკვლეულია **ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი** და სხვათა კონცეფციები დასავლურ სამყაროში დამკვიდრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წყობის მოდელებიდან გამომდინარე.
4. ახსნილია, თუ რატომ მიიჩნევდნენ აღნიშნული ავტორები მისაბაძად დასავლურ სამყაროში წარმოშობილ და განვითარებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებს.
5. ასევე, რატომ ეწეოდნენ დასავლური ღირებულებების პოპულარიზაციას ქართულ სინამდვილეში (XIX საუკუნეში).

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადოქტორო ნაშრომის „დასავლური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში“ კვლევის მეთოდი ეფუძნება XX საუკუნისა და XXI საუკუნის დასაწყისის დასავლურ ისტორიოგრაფიას. აქ კი მოვიაზრებთ გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, ამერიკულ და ქართულ ნააზრევსა და თეორიებს. ისტორიის შესწავლისას თითოეული მათგანის „ლაბორატორიაში“ ჩამოყალიბებული აზრი და მეთოდი გასათვალისწინებელი და გამოსაყენებელია. მათი აზროვნების განვითარება ისტორიის პროცესის შესახებ, მიუხედავად ბევრი სხვაობისა ერთმანეთს ავსებენ და ჩვენი ინტერესიც, სწორედ, ამ საერთოსადმია მიმართული. სადოქტორო ნაშრომში არის მცდელობა წარმოაჩინოს, თუ რამდენად არის შესაძლებელი მათი ინტერპრეტირება ერთ სქემად, სისტემად ქართული რეალობისთვის (თანამედროვე ქართული ისტორიისათვის).

სადისერტაციო ნაშრომი ეფუძნება, იმ თანამედროვე მეთოდოლოგიურ კონცეფციებს, რომელიც ჩამოყალიბებულია: ისტორიის აპოლოგიით (ივანე ჯავახიშვილი, მარკ ბლოკი), უწყვეტი ისტორიის პროცესიის გაგებით (ილია ჭავჭავაძე, ჯორჯ კოლინგვუდი), ისტორიის ტრადიციული ქარგით (კიტა მეგრელიძე), საზოგადოების განვითარების ტრადიციული კულტურული სულისკვეთებით (მაქს ვებერი), ცივილიზაციის პროცესით (ნორბერტ ელიასი), ისტორიის პროცესის (ფიზიკის, მათემატიკის, ისტორიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის, სტატისტიკის, კულტუროლოგიის კომბინირებული მეთოდის) რაციონალური შეფასებით (რონალდ ინგლეჰარტი) და სხვათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომის თეორიული ღირებულება

სადისერტაციო ნაშრომს გააჩნია მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება. მეცნიერული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ღრმად და საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების გამოჩენილი წარმომადგენლების (ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და სხვათა) გონებაში გაცნობიერებული და განვითარებული დასავლური ღირებულებები (სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტებით).

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ის ეფუძნება თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიას და დასავლური ღირებულებების ისტორიულ განვითარებას. ასევე, ნაშრომი დაფუძნებულია XXI საუკუნის გადასახედიდან თანამედროვე (XIX-XX სს.) დასავლური ღირებულებების ისტორიოგრაფიისა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ არსებულ ისტორიოგრაფიულ მიღწევებს.

ასევე, თეორიულ ღირებულებად უნდა ჩაითვალოს, ის რომ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და სხვათა) გაცნობიერებული და განვითარებული დასავლური ღირებულებების შესწავლა ერთიან კონტექსტში თანამედროვე ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ პირველ მეცნიერულ ცდას წარმოადგენს. აქამდე არსებული ცალკეული ნაშრომები, მთლიანობაში, კომპლექსურად ვერ წარმოაჩენდნენ პრობლემებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება თანამედროვე ჰუმანიტარულ, განსაკუთრებით ისტორიულ მეცნიერებათა განვითარებაში არსებული ხარვეზის შევსებაში. ეს არის ერთ-ერთი პრაქტიკული ცდა ხელი შეუწყოს ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეროვნული, საეკლესიო, უნივერსალური და მსოფლიო ისტორიოგრაფიების განვითარებას.

სადისერტაციო ნაშრომის სიახლე არის ის, რომ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და სხვათა) გაცნობიერებული და განვითარებული დასავლური ღირებულებების შესწავლა, ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობაში, მისი პრაქტიკული გამოყენების მიზნით, ღრმად და საფუძვლიანად ჯერ არ მომხდარა.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების გამოჩენილი წარმომადგენლების (ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და სხვათა) მიერ გაცნობიერებული და განვითარებული დასავლური ღირებულებების (სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტებით) პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს დასავლური ღირებულებებისაკენ ორიენტირებული თანამედროვე ქართული საზოგადოებისათვის წარსული გამოცდილების გათვალისწინების აქტუალობაში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადისერტაციო ნაშრომი „დასავლური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების მოდელი) XIX საუკუნის 60-იანი წლები – XX საუკუნის დამდეგი“ შედგება: სატიტულო თავფურცელის, შინაარსის, ანოტაციის, შესავალის, 4 თავის, 14 პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან (სულ 186 გვ. აქედან ძირითადი ტექსტი - 170 გვ.). სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა თავების მიხედვით:

სატიტულო თავფურცელი - 1 გვერდი.

შინაარსი - 1 გვერდი.

ანოტაცია - შედგება 4 გვერდისაგან: ქართული ვერსია - 2 გვერდი, ინგლისური - 2 გვერდი.

შესავალი - შედგება 5 გვერდისაგან.

თავი 1. დასავლური ღირებულებებისა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ისტორიოგრაფია (34 გვერდი):

§1. „დასავლური ღირებულებების ისტორიოგრაფია“ – 20 გვერდი.

§2. „ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიოგრაფია“ – 14 გვერდი.

თავი 2. დასავლური პოლიტიკური სისტემები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (52 გვერდი):

შესავალი - 4 გვერდი.

§1. „ილია ჭავჭავაძე“– 10 გვერდი.

§2. „ნიკო ნიკოლაძე“ – 18 -გვერდი.

§3. „გიორგი წერეთელი“ – 14 გვერდი.

§4. „სერგეი მესხი“ – 10 გვერდი.

თავი 3. დასავლური ეკონომიკური სისტემები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (38 გვერდი):

შესავალი - 1 გვერდი.

§1. „ილია ჭავჭავაძე“ – 6 გვერდი.

§2. „ნიკო ნიკოლაძე“ – 15 გვერდი.

§3. „გიორგი წერეთელი“ – 11 გვერდი.

§4. „სერგეი მესხი“ – 6 გვერდი.

თავი 4. დასავლური სოციალური სისტემები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (28 გვერდი):

შესავალი - 4 გვერდი.

§1. „ილია ჭავჭავაძე“ – 7 გვერდი.

§2. „ნიკო ნიკოლაძე“ – 6 გვერდი.

§3. „გიორგი წერეთელი“ – 7 გვერდი.

§4. „სერგეი მესხი“ – 4 გვერდი.

დასკვნა - 9 გვერდი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა - 14 გვერდი.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი
(შესავალი, თავების ანოტაციები, დასკვნები)

სადისერტაციო ნაშრომი „დასავლური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (XIX საუკუნის 60-იანი წლები – XX საუკუნის დამდეგი)“ წარმოაჩენს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ რეალობაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული ღირებულებების დამკვიდრების პროცესს.

ანოტაცია - ანოტაციაში მოცემულია სადოქტორო ნაშრომის მოკლე აღწერა და მიმოხილვა.

შესავალი - შესავალში ჩამოყალიბებულია სადოქტორო ნაშრომის კვლევის აქტუალობა, საგანი, მიზნები და ამოცანები. ახსნილია სადოქტორო ნაშრომის სათაურში გამოყენებული ტერმინი - „დასავლური ღირებულებები".

თავი 1. დასავლური ღირებულებებისა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ისტორიოგრაფია - პირველ პარაგრაფში წარმოდგენილია თანამედროვე დასავლური ღირებულებების ისტორიული განვითარების პროცესი, კონკრეტულად: თავისუფლების, კანონის უზენაესობის, თანასწორობის, საბაზრო ეკონომიკის, კაპიტალიზმის, ინდივიდუალიზმის და დემოკრატიის შესახებ არსებული აზრის ისტორია. მეორე პარაგრაფში მოცემულია ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ განვითარებული მოკლე ისტორიოგრაფია, რომელიც წარმოდგენილია სამ პერიოდად: 1. ეროვნული ისტორიოგრაფია (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან - XX საუკუნის 30-იან წლებამდე); 2. მარქსისტული ისტორიოგრაფია სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ისტორიოგრაფიის ასპექტებით (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან - XX საუკუნის 90-იან წლებამდე); 3. თანამედროვე ისტორიოგრაფია.

თავი 2. დასავლური პოლიტიკური სისტემები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში - ახსნილია და წარმოჩენილია ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის შეხედულება დასავლური პოლიტიკური ღირებულებებისადმი. მათ მრავალ პუბლიცისტურ ნაშრომში წარმოდგენილი დასავლური ღირებულებების (პოლიტიკური სისტემების) ქართულ საზოგადოებაში განვითარების დამკვიდრების გზები. პოლიტიკური თვალსაზრისით, მათ როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად ხელი შეუწყვეს თავისუფლების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას. მათი ნაშრომები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმსჭვალულია თავისუფლების ღია და შეფარული მოწოდებებით.

თავი 3. დასავლური ეკონომიკური სისტემები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში - ახსნილია და წარმოჩენილია ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის შეხედულება დასავლური ეკონომიკური ღირებულებებისადმი. დასავლური ეკონომიკური თეორიების საფუძველზე ისინი კონკრეტული ქართული სოფლებისა და ქალაქების განსავითარებლად, ასოციაციებისა თუ საზოგადოებების შექმნას უჭერდნენ მხარს და მოუწოდებდნენ, რაც საწინდარი იყო როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ხელშესაწყობად. ასევე, საბაზრო ეკონომიკის განვითარებით, ისინი ქართველი გლეხების ინტერესიდან ამოდიოდნენ და მათ თავიანთი ნაშრომის შესანრჩუნებლად ვაჭარ-გადამყიდველის ინსტიტუტის საფრთხისკენ მოუწოდებდნენ, ხოლო უფრო, წარმატებული საზოგადოების შესაქმნელად კარგად ორგანიზებულ საბანკო სისტემას მოითხოვდნენ.

თავი 4. დასავლური სოციალური სისტემები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში - ახსნილია და წარმოჩენილია ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის შეხედულება დასავლური სოციალური ღირებულებებისადმი. ისინი ორიენტირებული იყვნენ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებაში გაბატონებულ ფსიქო-სოციალურ საკითხებზე. ერთის მხრივ, მათი ყურადღების ცენტრშია ჩამოყალიბების გზაზე მდგარი ქართული კაპიტალისტური საზოგადოება, რომელიც რუსიფიკატორული პოლიტიკის მსხვერპლი იყო. მეორეს მხრივ, სოციალური თვალსაზრისით, მათ ქართველ ერში დამკვიდრებული კომპლექ-სები გამოავლინეს: სიკეთის ვერ შეცნობა, ბედთან შეგუება, რო-გორც შურისა და მტრობის, ისე შავისა და თეთრის ვერ გარჩევა,

„ყიზილბაშობა“ – პირფერობა. ეს ყოველივე ქართველ ერში შექმნილი სიტუაციის გააზრებას უწყობდა ხელს და კუთხოვნობის თვითშეგნება გამძაფრებულ ქართველებში ქმნიდა საფუძველს, საერთო ქართულზე ეფიქრათ.

დასკვნა - სადოქტორო ნაშრომის დასკვნაში მოცემულია ჩატარებული სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგად, ჩამოყალიბებული შეხედულება XIX საუკუნის 60 წლებიდან ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დასავლური ღირებულებების ისტორიულ მნიშვნელობაზე.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა - მოცემულია იმ წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა, რის საფუძველზეც შეიქმნა სადისერტაციო ნაშრომი.

F4 6.050

სადისერტაციო თემასთან

დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

1. **გიორგი ქავთარაძე.** სერგეი მესხის დამოკიდებულება დასავლური ეკონომიკური სისტემების მოდელისადმი. კრებულში „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები“. თბილისი, 2011.
2. **გიორგი ქავთარაძე.** ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება დასავლური ეკონომიკური სისტემების მოდელისადმი. კრებულში „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენციის მასალები“. თბილისი, 2011.
3. **გიორგი ქავთარაძე.** ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება დასავლური პოლიტიკური სისტემების მოდელისადმი.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებულში „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. თბილისი, 2010.

4. **გიორგი ქავთარაძე.** ილია ჭავჭავაძის იდეების ტრანსლოკაცია პოსტკოლონიურ საქართველოში. კრებულში „ილია ჭავჭავაძე და ქართული ეროვნული ცნობიერება“. თბილისი, 2009.

5. **გიორგი ქავთარაძე.** კუთხოვნობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში. კრებულში „ილია ჭავჭავაძე და ქართული ეროვნული ცნობიერება“. თბილისი, 2009.

6. **გიორგი ქავთარაძე.** ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის შეფასება ქართულ სინამდვილეში (1861-1907) კრებულში „ილია ჭავჭავაძე და ქართული ეროვნული ცნობიერება“. თბილისი, 2009.

7. **გიორგი ქავთარაძე.** ბათუმის საკითხი ინგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში. კრებულში „სტუდენტური ძიებანი“. თბილისი, 2005.

Patriarchate of Georgia

Georgian University of St. Andrew the First Called
School of Humanities (Faculty) History

With the right of manuscript

Doctoral Educational Program
„History of Georgia"

Giorgi Kavtaradze

The Western values in Georgian social-political understanding (The model of political, economical and social systems) The 60-ies of the XIX century – Early XX century

Represent for obtaining doctorate degree in History

A herald of dissertation

Tbilisi
2013

The dissertation has been made on Georgian University of St. Andrew the First Called School of Humanities Faculty of History.

Research Director: **Vakhtang Guruli,**
Doctor of History, Professor

Official Reviewers: 1. **Guram Lortkipanidze,**
Doctor of History, Emeritus Professor.
2. **Davit Malazonia,**
Doctor of History, Full Professor.
3. **Dimitri Shvelidze,**
Doctor of History, Associate Professor.

Dissertation award will take place in ***4 March, 2013*** in Tbilisi ***at 15^{00} o'clock*** at Georgian University of St. Andrew the First Called School of Humanities Faculty of dissertation committee.

Address: 0162,Tbilisi, **Ilia Chavchavadze Ave. № 53a the IVth flour Conference room**
The dissertation will be available at Georgian University of St. Andrew the First Called School's liberary.

The dissertation has been sent in ***2 February, 2013***

Secretary of the Council,
Doctor of Historical Sciences
Professor Vakhtang Guruli

Contents

General Description of the research 22

Actuality of problem 23

The main aim and objectives 24

Scientific novelty and main results 26

Research on theoretical and methodological bases 27

Theoretical value of the work 28

Practical meaning of the work 29

Structure and volume of the work 30

The main plot of the work (Introduction,

Annotation of Chapters, Conclusions) 32

The list of publications concerning dissertation 35

General Description of the research

The dissertation on "The Western values in Georgian social and political understanding" (The 60-ies of the XIX century – Early XX century) represents the reality of political, economical, social and cultural values from the second half of XIX century.

The dissertation is represented according to the western values understanding in modern methodology of humanity sciences and also their historical development has been studied. On the one hand, French, German, English and American school systems methodological understanding and on the other hand the achievements of Georgian humanity developments. Also the historiography of modern western values and Georgian social-political historiography has been studied thoroughly and based on that synthesis it had been analyzed by Ilia Chavchavadze, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and Sergey Meskhi achievements in understanding the western political, economical and social values. It has been explained the reason why they considered the western world's political, economical and social systems as the model and why they promote the western values in Georgian reality.

Actuality of problem

In the 19th century, when Russian Empire owned Georgian kingdom-principalities, Georgian society had been arisen for the desire of their independence, in the first half of the century were national movements (from the 19th century national rebellions) were especially strong and as for the second half of the century was especially known as Georgian political understanding for its representatives (Ilia Chavchavadze, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and Sergey Meskhi and others) was more organized for the future Georgian state ideology "equipped with the western values" which took revenge from Russian and the current world's procedures. For the establishing western values they with the help of Georgian journal-magazines "prism" (through mind), promoted and had a cognizant promulgation, that resulted in the formation of values in modern Georgian. Today it had been proved already that in XIX century in Georgian social-political understanding the topic of the western values were actual as in XXI century Georgian nation recognition and Georgia itself as a strong basis and guarantee for existence.

The conceptions, recommendations and values of Georgian figures from the 19th century have not lost its actuality yet. More than that if Georgian society, political elite will update the understanding, if they are not worthless, more than that they are useful in comparison with the concepts of the western European experts or with the international political organizations recommendations and indications. They took Georgian understanding through prism until 19th century and especially the questions that were in political, economical and social systems on that very base they worked out important theories of the ideas in the "laboratory".

We are interested less in inculcation of the western values more than the place and the role in Georgian society but as the alternative the east values and as "general ground" (Archil Jorjadze, 1905) establishment of the modern Georgian values. As the consciousness of the medieval centuries goes back toward "Adam Entrails" the same happened with the understanding of the 19th-20th centuries and as for the modern science, studio is more oriented on the 19th-20th centuries. In the modern informational or communicative era (Younger Habermans, 1983) is the mean of fast thinking and generally quicker development's base is spreading information and fast communication development. That very last is the reason of appearance of the "Face book" generation. If the system of past values were not been studied then for the future generation "The end of history" (Frensis Pukuiama, 1992) might be the problem still become an actual.

The main aim and objectives

In Georgian social-political understanding in order to investigate the Western values it is important to represent Georgian political science, social, economic, religious, universal and the world historian context through historian consideration; represent the procedure of the Georgian historical development. The main objectives of the dissertation:

1. Clarify the role of Western values and its place in the Georgian society;

2. Western values as the alternative of Eastern values;

3. Values for the development of modern Georgian regeneration "ground" (Archil Jorjadze).

The main aim of the dissertation is to represent in the Georgian political understanding the Western values with the modern scientific methodology. To help developed and established understandings become more relevant for the modern Georgian historical sciences. The main objectives:

1. The clarification and understanding of historiography in comparison with the modern Western values;

2. Georgian social-political way of thinking and learning its development;

3. Based on synthesis to investigate and analyze in the Western world's developed and established models of political, economical and social systems. (according to the work of Ilia Chavchavadze, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and Sergey Meskhi and others);

4. To explain the reason of considering the model as an example in the Western world originated and developed political, economical and social systems.

5. Why they were esteeming to promote the Western values in the Georgian reality (in the 19th century).

Scientific Novelty and the Main Results

The novelty of the dissertation is that in Georgian social-political understanding (Ilia Chavchavadze, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and Sergey Meskhi and others) studied values of developed and realized in the state raising. The practical use of deeply and thoroughly investigation has not done yet. There are separate works that do not represent the problem globally.

The dissertation has scientific and practical values. Scientific values lies in the fact that it is deeply researched Georgian social-political works of (Ilia Chavchavadze, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and Sergey Meskhi and others)Western values that are understood deeply in their mind towards (social, economic and political point of view). The result of research lies on the establishment of Western values.

The novelty of the dissertation is that it bases on the modern humanities scientific methodology and development of Western historical development. From the view of 21st century, modern (19th - 20th) Western historiography values and Georgian social-political understanding achievements.

The dissertation represents the understanding of Western values in modern humanity methodology and historical developments have been studied.

1. French, German, English and American school systems methodological understanding have been studied;

2. The achievements of Georgian humanity methodology have been analyzed;

3. Modern Western values have been studied thoroughly;

4. Represented Georgian historiography of social-political understanding;

5. According to the above mentioned items are investigating (Ilia Chavchavadze, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and Sergey Meskhi and others established concepts towards Western political, economical and social models.

6. It is explained the reason why they consider the model to be worthy in Western world derived and developed political, economical and social systems.

7. Also the reasons why they were promoting Western values in Georgian reality in 19th century.

Research Methods

The dissertation on "The Western values in Georgian social and political understanding" is based on XX and the beginning of XXI centuries' Western historiography. Here are understood German, French, English, American and Georgian scientific theories. For historical studies of its "laboratory" every concept is useful.

Their way of thinking on development historical procedures, despite of many differences, they are fulfilling each other and that is where our interests go to. The dissertation is an attempt to formulate with interpretation on the scheme for Georgian reality for (modern Georgian history).

The dissertation is based on modern methodological concepts that are forming according: Apology of history (Ivane Javakhishvili, Mark Block), The continues procession of historical understanding (Ilia Chavchavadze, George Kolingwood), the history of history traumatisms (Kita Megrelidze), the development of traditional cultural spirit (Max Weber), the civilization processes (Robert Alias), the process of history (combined methods of Physic, Mathematic, History, Geography, Sociology, Statistic, Cult urology), Rational evaluation (Ronald Inglepart) and other

The theoretical value of the work

The dissertation has a scientific and practical value. The scientific value lies in the fact that it is deeply and thoroughly researched Georgian social-political representatives' way of thinking (Ilia Chavchavadze, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and Sergey Meskhi and others). Deeply understood and developed Western values (from the social, economical and political aspects).

The theoretical value of the dissertation lies in the fact that it is based on the historical development of modern Western values and methodology of Humanities. Also the work is based from XXI century modern views on (XIX-XX).Historiography of Western values and Georgian social-political achievements.

Also the theoretical values might be considered the fact that in Georgian social-political understanding (Ilia Chavchavadze, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and Sergey Meskhi and others) studying procedures of deeply understanding and developed Western values, in

the whole context represents one of the first scientific attempts. The works that had been before separately does not represent the problem thoroughly.

The practical importance of the work

The practical significance of the dissertation expresses the meaning of modern humanities, especially filling the gaps of the historical development. In Georgian scientific history: for the development of political, sociological, economical, national, religious, religious and universal aspects.

The novelty of the dissertation lies on the fact that in Georgian social-political concepts (Ilia Chavchavadze, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and Sergey Meskhi and others). Western values deep and fundamental studies in Georgian state building, in the aim of its practical use has not investigated yet.

Georgian social-political understanding famous figures (Ilia Chavchavadze, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and Sergey Meskhi and others) thoroughly understanding and realized Western values (social, economic and political aspects), the practical importance of Western values lies on the actuality of the modern experience towards in Georgian society.

The structure and volume of work

ეროვნული
ბიბლიოთეკა

The dissertation on "The Western values in Georgian social and political understanding" (The 60-ies of the XIX century – Early XX century) consists of: annotation, introduction, 4 topics, conclusion and with the used literature. (Totally 186 pages, main text -170 pages) The structure of dissertation and the volume of chapters:

Title page – 1page

Content – 1 page

Annotation - consists 4 pages (Georgian version-2 pages and English version -2 pages) which is the brief description of the overall dissertation.

Introduction – 5 pages, where is described the actuality of the research, focus, goals and objectives.

Chapter 1. Western values and Georgian social-political history of understanding-historiography – 34 pages

§ 1 "Historiography of Western Values" – 20 pages

§ 2 "Historiography of Georgian Social-Political Understandings" – 14 pages

Chapter 2. Western political systems in Georgian social-political understanding - (52 pages):

Introduction – 4 pages

§ 1 Ilia Chavchavadze about Western political systems – 10 pages

§ 2 Niko Nikoladze about Western political systems – 18 pages

§ 3 Giorgi Tsereteli about Western political systems – 14 pages

§ 4– Sergey Meskhi about Western political systems - 10 pages

Chapter 3. Western economic systems in the Georgian social-political understanding – (38 pages):

Introduction – 1 page

§ 1 Ilia Chavchavadze about Western economical systems – 6 pages

§ 2 Niko Nikoladze about Western economical systems – 15 pages

§ 3 Giorgi Tsereteli about Western economical systems – 11 pages

§ 4 Sergey Meskhi about Western economical systems – 6 pages

Chapter 4. Western social systems in Georgian social-political understanding – (28 pages):

Introduction – 4 pages.

§ 1 Ilia Chavchavadze about Western social systems – 7 pages

§ 2 Niko Nikoladze about Western social systems – 6 pages

§ 3 Giorgi Tsereteli about Western social systems – 7 pages

§ 4– Sergey Meskhi about Western social systems 4 pages

Conclusion – 9 pages

Used literature and publications – 14 pages

The main plot of the work

(Introduction, Annotation of Chapters, Conclusions)

The dissertation on "The Western values in Georgian social and political understanding" (The 60-ies of the XIX century – Early XX century) represents the from the second half of the 19th century in Georgian reality: political, economical, social and cultural values and establishment of these procedures.

Introduction – sets out the actuality of the dissertation, objectives, goals and problems. There are explained the used terminology "Western Values".

Annotation – the short description of dissertation and general overview

Chapter 1. Review of the modern scientific humanitarian methodology - The first chapter analyzes the methodological achievements in modern foreign Humanities and as for the second paragraph it represents the development of Georgian social-political historiography. Overview of Humanities, the main methodological principles and concepts are developed: The History of Apology (Ivane Javakhishvili, Mark Block), The understanding of continuous historical processes. (Ilia Chavchavadze, George Kolingwood), Traditional repetition permanent history (Kita Megrelidze) The development of traditional cultural social spirit (Max Veber), The procedure of civilization (Norbert Elias), Global Historical Procedures (Physic,

Mathematic, History, Geography, Sociology, Statistic, Combined methods of cultural) Rational Assessment (Ronald Inglehart) and others.

Chapter 2. Western values and Georgian social-political history of understanding-historiography - In the first chapter is represented the development procedure of modern western values, specifically: freedom, the supremacy of law, equality, market economy, capitalism, individualism, the history of democracy and freedom of thoughts. In the second chapter there is developed idea about Georgian social-political historiography: that are represented in three periods: generally Georgian social-political historiography might be divided in three periods: 1. National historiography (the 60-ies of the XIX century - up to 30-ies of the XX century); 2 Marxist historiography social, economic, with the historiography of political aspects (the 20-ies of XX century – up to 90-ies of the XX century); 3.Modern national and church historiography.

Chapter 3. Western political systems in Georgian social-political understanding – is explained and represented Ilia Chavchavadze's, Niko Nikoladze's, Giorgi Tsereteli's and Sergey Meskhi's attitudes and views towards the western political values.(Political, economical and social systems) in Georgian society ways of development and establishment. From political point of view, theoretically and as well as practically contributing freedom, the supremacy of law, the development of democratic values. Between the lines one can read the ideas of independence and proclamations.

Chapter 4. Western economic systems in the Georgian social-political understanding – explained and represented Ilia Chavchavadze's, Niko Nikoladze's, Giorgi Tsereteli's and Sergey Meskhi's ideas towards the western economical values. On the base of the western economical theories with the example of Georgian villages they supported and appealed associations. That was the beginning of local entity, capital

development of society. Also with the development of market economy taking consideration of Georgian farmers for maintaining their labor was in danger of tradesmen and as for the creation of more successful society were needed well organized banking system.

Chapter 5. Western social systems in Georgian social-political understanding - explained and represented Ilia Chavchavadze's, Niko Nikoladze's, Giorgi Tsereteli's and Sergey Meskhi's ideas towards the western economical values. They were oriented from the 60-ies of the XIX century prevailing in the society psycho-social questions. From one hand in the center of their interests is Georgian capitalistic society, that was the victim of Russian policy. From the other hand, they manifested social complexes that was firmly settled in Georgian Nation: Ignorance of kindness; Adoption with faith as well as envy, hostility, impossibility of distinguish white and black. "Yizilbashoba" –hypocrisy. Everything this in Georgian nation, helped in understanding of provincial identities for was the base to think about General Georgian.

Conclusion – there are represented results according to the scientific research and formation attitude towards Georgian social-political understand in the 19th century.

Literature – bibliographical list on what the dissertation is created itself.

The List of publication topics according to the dissertation

1. **Giorgi Kavtaradze.** Sergey Meskhi's attitude towards the model of Western economical systems. Collection – "The students' materials according to the second scientific conference Faculty of Humanity". Tbilissi, 2011.

2. **Giorgi Kavtaradze.** Niko Nikoladze's attitude towards the model of Western economical systems. Collection – "The students' materials according to the first scientific conference Faculty of Humanity". Tbilissi, 2011.

3. **Giorgi Kavtaradze.** Niko Nikoladze's attitude towards the model of Western economical systems according to "The modern and the newest Georgian history" Tbilissi, 2010.

4. **Giorgi Kavtaradze.** Ilia Chavchavadze's ideas according to the "Translocation in the postcolonial Geogia". In the material –"Ilia Chavchavadze and Georgian National Understanding" Tbilissi, 2009.

5. **Giorgi Kavtaradze.** The problem of provincialism in Ilia Chavchavadze's publicists' In the material –"Ilia Chavchavadze and Georgian National Understanding", Tbilissi, 2009.

6. **Giorgi Kavtaradze.** Evaluation of Ilia Chavchavadze's works in Georgian reality (1861-1907) in the material –"Ilia Chavchavadze and Georgian National Understanding" "Universal" 2009.

7. **Giorgi Kavtaradze.** "The question of Batumi in the near Eastern politics" in the material "Students Research", Tbilissi, 2005.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

30a.
10/2
FA 6.050